



COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

სასამართლო (პალატა)

გრადინგერი ავსტრიის წინააღმდეგ

(განაცხადი N 15963/90)

განჩინება

სტრასბურგი

1995 წლის 23 ოქტომბერი

საქმეზე გრადინგერი ავსტრიის წინააღმდეგ,¹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, შეიკრიბა პალატის სახით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 43-ე მუხლისა და სასამართლოს რეგლამენტი „ა“-ს რელევანტური მუხლების² შესაბამისად, მოსამართლეთა შემდეგი შემადგენლობით:

ბ-ნი რ.რუსდალი, *პრეზიდენტი*,
ბ-ნი ფ. მატშერი,
ბ-ნი ლ.-ე. პეტიტი,
ბ-ნი რ. მაკდონალდი,
ბ-ნი ს.კ. მარტენსი,
ბ-ნი ი. ფოიგელი,
ბ-ნი ჯ.მ. მორენილა,
ბ-ნი ჯ.ფრილენდი,
ბ-ნი ჯ. მაკარზიკი
აგრეთვე, ბ-ნი ჰ.პეშოლდი, *რეგისტრატორი*

იმსჯელა რა განმარტოებით 1995 წლის 28 აპრილს და 28 სექტემბერს, გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულ იქნა ამავე დღეს.

პროცედურა

1. საქმე სასამართლოს გადასცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ („კომისია“) 1994 წლის 9 სექტემბერს, სამი თვის ვადაში, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციის 32-ე მუხლის 1-ლი და 47-ე მუხლით (მ. 32-1, მ. 47). საქმეს საფუძვლად უდევს ავსტრიის მოქალაქის, ბ-ნი იოზეფ გრადინგერის მიერ 25-ე მუხლის საფუძველზე კომისიაში 1989 წლის 22 მაისს შეტანილი განაცხადი (N15963/90) ავსტრიის წინააღმდეგ.

¹ საქმის ნომერია 33/1994/480/562. პირველი ნომერი არის საქმის რიგითი ნომერი იმ საქმეთა სიაში, რომელიც გადაეცა სასამართლოს შესაბამის წელს (მეორე ნომერი). ბოლო ორი ნომერი აღნიშნავს საქმის რიგით ნომერს იმ საქმეების სიაში, რომელიც გადაეცა სასამართლოს მისი შექმნიდან და კომისიაში წარდგენილი შესაბამისი საწყისი განაცხადების სიაში.

² რეგლამენტი „ა“ გამოიყენება სასამართლოსათვის გადაცემულ ყველა საქმეზე მე-9 პროტოკოლის (39) ძალაში შესვლამდე და ამის შემდეგ მხოლოდ იმ საქმეებზე, რომელიც ეხება სახელმწიფოებს, რომელზედაც არ ვრცელდება მე-9 პროტოკოლი. იგი შეესატყვისება რეგლამენტს, რომელიც ძალში შევიდა 1983 წლის 1 იანვარს, როგორც რამდენჯერმე შეცვლის შედეგი.

კომისიის თხოვნა მიუთითებდა კონვენციის 44 და 48 მუხლებსა (მ.44, მ. 48) და დეკლარაციაზე, რომელშიც ავსტრიამ ცნო სასამართლოს სავალდებულო იუსრისდიქცია (მუხლი 46) (მ.46). თხოვნის მიზანი იყო გადაწყვეტილების მოპოვება იმის თაობაზე, გამოააშკარავა თუ არა საქმის ფაქტობრივმა გაემოებებმა მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფისა და მე-7 პროტოკოლის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა (მ. 6-1, პ.7-4).

2. სასამართლო რეგლამენტის 33-ე მუხლის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ჩატარებული დაკითხვის საპასუხოდ აპლიკანტმა განაცხადა, რომ სურდა, მონაწილეობა მიეღო საქმისწარმოებაში და დაასახლა ადვოკატი, რომელიც იქნებოდა მისი წარმომადგენელი (მუხლი 30). სასამართლოს თავმჯდომარემ ადვოკატს მისცა საშუალება, გამოეყენებინა გერმანული ენა წერილობითი საქმისწარმოების დროს (27-ე მუხლის მე-3 პარაგრაფი).

3. 1994 წლის 24 სექტემბერს სასამართლოს თავმჯდომარემ სასამართლოს რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-6 პარაგრაფის საფუძველზე და მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე, გადაწყვიტა, რომ უნდა შექმნილიყო ცალკე პალატა, რათა განეხილა მოცემული საქმე და ასევე, საქმეები - Schmautzer, Umlauf, Pramstaller, Palaoro and Pfarrmeier v. Austria.³

პალატაში, რომელიც შეიქმნა აღნიშნული მიზნით, შედიოდნენ *ex officio* ბ-ნი ფ. მატჩერი, ავსტრიის მხრიდან არჩეული მოსამართლე (კონვენციის 43-ე მუხლი) (მ. 43) და ბ-ნი რ. რისდალი, სასამართლოს თავმჯდომარე (მუხლი 21, პარაგრაფი 3 (ბ)). იმავე დღეს, რეგისტრატორის თანდასწრებით, პრეზიდენტმა კენჭისყრის პრინციპით შეარჩია დანარჩენი 7 წევრი, კერძოდ, ბ-ნი ლ.-ე. პეტიტი, ბ-ნი რ. მაკდონალდი, ბ-ნი ს.კ. მარტენსი, ბ-ნი ი. ფოიგელი, ბ-ნი ჯ.მ. მორენილა, ბ-ნი ჯ.ფრილენდი და ბ-ნი ჯ. მაკარზიკი (კონვენციის 43-ე მუხლის შესაბამისად და 21-ე მუხლის მე-4 პარაგრაფი) (მ. 43).

4. როგორც პალატის თავმჯდომარემ (რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-5 პარაგრაფი), ბ-ნმა რისდალმა, რომელიც მოქმედებდა რეგისტრატორის საშუალებით, გაიარა კონსულტაცია ავსტრიის მთავრობის ადვოკატთან, განმცხადებლის იურისტთან და კომისიის დელეგატთან საქმისწარმოების ორგანიზების თაობაზე (რეგლამენტის 37-ე მუხლის პარაგრაფი 1 და 38). მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, რეგისტრატორმა 1995 წლის 24 იანვარს მიიღო მთავრობის, ხოლო 1995 წლის 30 იანვარს განმცხადებლის მიერ შედგენილი ფაქტების აღწერილობა. 21 მარტს კომისიამ მიაწოდა რეგისტრატორს სხვადასხვა დოკუმენტაცია, რაც მას მოთხოვნილი ჰქონდა თავმჯდომარის ინსტრუქციის შესაბამისად.

³ Cases nos. 31/1994/478/560, 32/1994/479/561, 35/1994/482/564, 36/1994/483/565 and 37/1994/484/566.

5. თავმჯდომარის გადაწყვეტილების შესაბამისად, საქმის განხილვა ჩატარდა საჯაროდ ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 1995 წლის 26 აპრილს. სასამართლოს წინასწარ ჩატარებული ჰქონდა მოსამზადებელი შეხვედრა.

სასამართლოს წინაშე გამოცხადდნენ:

ა) მთავრობის სახელით:

ბ-ნი ფ. კედე, საერთაშორისო სამართლის დეპარტამენტის უფროსი, ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო, წარმომადგენელი,

ქ-ნი ი. სიეზი, კონსტიტუციური დეპარტამენტი, ფედერალური კანცელარია,

ქ-ნი ე. ბერტაგნოლი, საერთაშორისო სამართლის დეპარტამენტი, ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო, მრჩეველები

ბ) კომისიის სახელით:

ბ-ნი ა. ვეიტზელი, დელეგატი

გ) განმცხადებლის სახელით:

ბ-ნი რ. ფეიზინგერი, რეჩსანვოლტი, ადვოკატი

სასამართლომ მოისმინა ბ-ნი ვეიტზელის, ბ-ნი ფეიზინგერის და ბ-ნი კედეს მისამართები.

ფაქტობრივი გარემოებები

I. საქმის გარემოებები

6. ბ-ნი გრადინგერი არის ავსტრიის მოქალაქე, რომელიც ცხოვრობს სანკტ-პოლტენში (St Pölten) (ქვემო ავსტრია).

7. 1987 წლის 1-ელ იანვარს, ღამის 4 სთ-ზე, მანქანის მართვისას, მან გამოიწვია ინციდენტი, რის გამოც დაიღუპა ველოსიპედისტი.

საავადმყოფოში, **სადაც მას აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება**, აიღეს მისი სისხლის ნიმუში, რომელმაც აჩვენა, რომ მის სიხლში ალკოჰოლის დონე იყო 0.8 გრამი ლიტრში.

8. 1987 წლის 15 მაისს, სანკტ-პოლტენის რეგიონულმა სასამართლომ (Landesgericht) დამნაშავედ სცნო იგი გაუფრთხილებლობით მკვლელობაში (fahrlässige Tötung) და მიუსაჯა 200 დღიანი ჯარიმა 160 ავსტრიული შილინგის (ATS) ოდენობით და 100 დღიანი პატიმრობა თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში (სისხლის სამართლის კოდექსის (Strafgesetzbuch) 80-ე მუხლი - იხ. ქვემოთ პარაგრაფი 13).

განმცხადებლის თანახმად, ექსპერტმა, ექიმმა ფსიქმა მის სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ განმცხადებლის მიერ ბოლო დაღევასა და ინციდენტს შორის მოკლე დროის ინტერვალის გათვალისწინებით, განმცხადებელს არ შეეძლო დადგენილ ლიმიტზე მეტი ალკოჰოლის მიღება.

როგორც სასამართლოს ჩანაწერებიდან (Protokolls- und Urteilsvermerk) ირკვევა, განაჩენში დადგინდა, რომ განმცხადებელმა ნამდვილად დალია ინციდენტამდე, თუმცა არა იმ ოდენობით, რომ დაეკავებინათ სისხლის სამართლის კოდექსის 81-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს უფრო მძიმე სასჯელს ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს დაუდევრობით მკვლელობისთვის (იხ. ქვემოთ პარაგრაფი 14).

9. 1987 წლის 16 ივლისს სანკტ-პოლტენის ოლქის ხელისუფლებამ (Bezirkshauptmannschaft) გამოსცა „დაპატიმრების დრძანება“ (Straferkenntnis), რომელიც ბ-ნ გრადინგერს, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მანქანის ტარების გამო, აკისრებდა ჯარიმას 12,000 ავსტრიული შილინგის ოდენობით და ორ კვირიან პატიმრობას გადაუხდელობის შემთხვევაში. აღნიშნული ბრძანება მან გამოსცა 1960 წლის საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის (the Road Traffic Act) (Straßenverkehrsordnung - იხ. ქვემოთ პარაგრაფები 15 და 16 below) 5 (1) და 99 (1) (ა) მუხლებისა და განსხვავებული, 1987 წლის 5 თებერვლის სამედიცინო ანგარიშის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, იმ დროის გათვალისწინებით, რაც გავიდა შეჯახებასა და სისხლის ნიმუშის აღებას შორის, ბ-ნი გრადინგერის სისხლში ალკოჰოლის დონე ინციდენტის მოხდენის დროს უნდა ყოფილიყო სულ ცოტა 0.95 გრამი ლიტრში.

10. განმცხადებელმა საჩივრით მიმართა ქვედა ავსტრიის (მხარე ავსტრიაში, რომლის დედაქალაქია სანკტ-პოლტენი) რეგიონულ მთავრობას (Amt der Landesregierung), რომელმაც უარი თქვა მის 1988 წლის 27 ივლისის საჩივარზე ექსპერტის 1988 წლის 16 ივნისის მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც სიხლში ალკოჰოლის შემცველობა იყო 0.9 გრამი ლიტრში.

11. 1988 წლის 11 ოქტომბერს საკონსტიტუციო სასამართლომ (Verfassungsgerichtshof) უარი თქვა განმცხადებლის მიერ შეტანილი სააპელაციო საჩივრის განხილვაზე, იმ საფუძველით, რომ მას არ გააჩნდა წარმატების საკმარისი პერსპექტივა.

12. შემდგომი საჩივარი ადმინისტრაციულ სასამართლოში 1989 წლის 29 მარტს არ იქნა მიღებული დაუსაბუთებლობის საფუძველზე. სასამართლომ დაადგინა, რომ რეგიონულ ხელისუფლებას ნებისმიერ შემთხვევაში არ განუმარტავს არასწორად კანონი, როდესაც მიიჩნია, რომ ბ-ნი გრადინგერი იმყოფებოდა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ, საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 5(1) მუხლის მიზნებიდან გამომდინარე. აღნიშნული დასკვნა დაფუძნებული იყო ექსპერტის 1988 წლის 16 ივნისის მოსაზრებაზე, სადაც მან ჩათვალა, რომ

აპლიკანტის მიერ მიღებული ალკოჰოლი უკვე შეზავებული იყო სიხლში ინციდენტის მოხდენის დროს, რასაც აპლიკანტი სადაოს არ ხდოდა. თუმცა ის არსწორი იყო, როდესაც ამტკიცებდა, რომ ექსპერტის ანგარიშში არ იყო გაანალიზებული, თუ ინციდენტამდე რა ზეგავლენა იქონია მასზე ბოლო დაღევამ.

გარდა ამისა, ხელისუფლება მოქმედებდა კანონის შესაბამისად, როდესაც დანიშნა ოფიციალური ექსპერტი (Amtssachverständiger) და არა ფიცის ქვეშ მყოფი სასამართლოს ექსპერტი (sworn court expert) (gerichtlich beeideter Sachverständiger). განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა რაიმე განსაკუთრებული ფაქტორი მათი ქმედების სხვაგვარად შესაფასებლად. განმცხადებლის მტკიცების საპირისპიროდ, მათ არ არც იგივე ექსპერტი დაუნიშნავთ, ვინც თავდაპირველად იყო გამოძახებული ოლქის ხელისუფლების მიერ (იხ. ქვემოთ პარაგრაფი 9).

რაც შეეხება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ კონვენციის 14-ე მუხლის მე-7 პარაგრაფს, რომელიც აწესებს "non bis in idem"-ის პრინციპს, იგი პირდაპირ არ გამოიყენებოდა ავსტრიის სამართლებრივ სისტემაში. შესაბამისად, ხელისუფლებას არ განუმარტავს არასწორად კანონი, როდესაც დასაჯა განმცხადებელი, სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობის შემდეგ.

II. შესაბამისი შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა

ა. მატერიალური სამართალი

1. სისხლის სამართლის კოდექსი

13. სისხლის სამართლის კოდექსის (Strafgesetzbuch) 80-ე მუხლის მიხედვით:

„ადამიანის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს და ისჯება თავისუფლების აღკვეთით 1 წლამდე ვადით.“

14. სისხლის სამართლის კოდექსის 81-ე მუხლის მე-2 პარაგრაფი განსაზღვრავს:

„სისხლის სამართლის დანაშაულს და ისჯება თავისუფლების აღკვეთით 1 წლამდე ვადით ადამიანის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა

1. ...

2. მას შემდეგ რაც, თუნდაც გაუფრთხილებლად, აღმოჩნდება ინტოქსიკაციის ქვეშ... ალკოჰოლის მიღების შედეგად, თუმცა არა იმ ოდენობით, რაც გამორიცხავს მის პასუხისმგებლობას, მიუხედავად იმისა, რომ მას უნდა განჭვრიტოს ან შეეძლოს განჭვრეტა, რომ მოკლე ხანში შეიძლება ჩაიდინოს ისეთი ქმედება, რაც.. საფრთხეს შექმნის სიცოცხლეს, ასეთის განხორციელების შემთხვევაში.“

გაუბათილებელი პრეზუმპციის (ვარაუდის) (irrebuttable presumption) თანახმად, რომელიც გამოიყენა სისხლის სამართლის სასამართლომ, უნდა ჩაითვალოს, რომ მანქანის მძღოლი, რომლის სისხლშიც ალკოჰოლის შემცველობა იყო 0.8 გრამი ლიტრზე ან უფრო მეტი, იმყოფებოდა მთვრალ მდგომარეობაში სისხლის სამართლის კოდექსის 81-ე მუხლის მე-2 პარაგრაფიდან გამომდინარე (Foregger/Serini, Kurzkommentar zum Strafgesetzbuch, 4th edition, 1988, p. 217).

2. საგზაო მოძრაობის შესახებ კანონი

15. 1960 წლის საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის მე-5 პარაგრაფის თანახმად, დანაშაულად მიიჩნევა პირის მიერ სატრანსპორტო საშუალების ტარება თუკი ალკოჰოლის წილი მის სისხლში ან ამონასუნთქში ტოლია ან აღემატება 0.8 გრამს ლიტრში ან 0.4 მილიგრამს, შესაბამისად. იგივე პარაგრაფი ასევე განსაზღვრავს ასევე სისხლის ანალიზისა და სუნთქვის შესამოწმებელი აპარატის გამოყენების წესს.

16. 1986 წლის 1 მაისიდან კანონის 99(1) სექცია განსაზღვრავს:

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს და ისჯება ჯარიმით არანაკლებ 8,000 და არაუმეტეს 50,000 ავსტრიული შილინგის ოდენობით ან გადაუხდელობის შემთხვევაში 1-დან 6 კვირამდე პატიმრობით, ნებისმიერი პირი:

ა) რომელიც ატარებს... სატრანსპორტო საშუალებას ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ...“

17. 1958 წელს, როდესაც ავსტრიის მთავრობამ მოახდინა კონვენციის რატიფიკაცია (იხ. პარაგრაფი 28), 1945 წლის საგზაო წესების შესახებ კანონის (Straßenpolizeigesetz) მე-7 პარაგრაფი განსაზღვრავდა: „ყველა მძღოლი ვალდებულია მიაქციოს სათანადო ყურადღება გზაზე მოძრავ სხვა პირებს და გამოიჩინოს სათანადო ზრუნვა და გულმოდგინება, რათა უზრუნველყოს წესრიგის შენარჩუნება, უსაფრთხოება და სათანადო საგზაო მოძრაობა.“

ბ. პროცედურა

18. ფედერალური კონსტიტუციის (Bundes-Verfassungsgesetz) 90-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფი განსაზღვრავს:

„სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების განხილვა სასამართლოების მიერ უნდა მოხდეს ზეპირად და საჯაროდ. გამონაკლისი შემთხვევები გაწერილი უნდა იყოს კანონით.“

1. საქმისწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში

19. ფედერალური კონსტიტუციის 144-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოში განაცხადის (Beschwerde) შესვლის შემთხვევაში, მან უნდა განსაზღვროს, დაარღვია თუ არა ადმინისტრაციულმა გადაწყვეტილებამ (Bescheid) კონსტიტუციით გარანტირებული უფლება, ან გამოიყენა თუ არა რეგულაციები (Verordnung) კანონის საწინააღმდეგოდ, რომელიც ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას ან საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც არ შეესაბამებოდა ავსტრიის კანონმდებლობას.

144-ე მუხლის მე-2 პარაგრაფი უზრუნველყოფს:

საქმის განხილვამდე საკონსტიტუციო სასამართლოს თავისი გადაწყვეტილებით (Beschluss) შეუძლია უარი თქვას საქმის მიღებაზე, თუკი საქმეს არ გააჩნია წარმატების საკმარისი პერსპექტივა ან არ არის მოსალოდნელი რომ განაჩენი ნათელს მოჰფენს საკონსტიტუციო სამართლის რაიმე საკითხს. სასამართლომ შესაძლოა განსახილველად მიიღოს ისეთი საქმე, რომელიც 133-ე მუხლის მიხედვით არ შედის ადმინისტრაციული სასამართლოს იურისდიქციაში.

2. საქმისწარმოება ადმინისტრაციულ სასამართლოში

20. ფედერალური კონსტიტუციის 130-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიხედვით, ადმინისტრაციულ სასამართლოს აქვს იურისდიქცია განიხილოს, inter alia, განცხადებები, სადაც ამტკიცებენ, რომ ადმინისტრაციული გადაწყვეტილება არის უკანონო.

21. ადმინისტრაციული სასამართლოს შესახებ კანონის (Verwaltungsgerichtshofsgesetz) 35(1) მუხლი განსაზღვრავს:

„ისეთი განცხადებების, რომლის შეინარსიდან გამომდინარე, ცხადია, რომ კანონდარღვევა, რომელზეც აპელირებს განმცხადებელი, არ მომხდარა, არ უნდა იქნეს მიღებული, დახურულ შეხვედრაზე, დამატებითი ფორმალობების გარეშე.“

22. კერძოდ, 39(1) მუხლი განსაზღვრავს, რომ მოსამზადებელი საქმისწარმოების (Vorverfahren) დროს ადმინისტრაციულმა სამართლომ უნდა ჩაატაროს საქმის განხილვა, სადაც განმცხადებელი წამოაყენებს თავის მოთხოვნას.

39 (2) მუხლი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად :

„მიუხედავად მხარის განცხადებისა (1) ქვეპუნქტის საფუძველზე, ადმინისტრაციულმა სასამართლომ შესაძლოა გადაწყვიტოს, რომ არ ჩაატაროს საქმის განხილვა, როდესაც

1. საქმისწარმოება უნდა შეჩერდეს (33-ე პარაგრაფი) ან განაცხადის მიღებაზე უარი უნდა ითქვას (34-ე პარაგრაფი);

2. სადაო გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს როგორც უკანონო, რადგანაც მოპასუხე არ იყო უფლებამოსილი პირი (42)(2)(2) პარაგრაფი);
3. სადაო გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს როგორც უკანონო, საპროცესო ნორმების დარღვევის გამო (42)(2)(3) პარაგრაფი);
4. სადაო გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, რადგანაც მისი შინაარსი არის უკანონო ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით;
5. არც მოპასუხეს და არც ნებისმიერ სხვა მხარეს არ შეუტანიათ საპასუხო განცხადება (შესაგებელი) და სადაო გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს;
6. საქმისწარმოების მხარეთა განცხადებებიდან და ადრინდელ ადმინისტრაციულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაციიდან გამომდინარე, სასამართლოსათვის ცხადია, რომ საქმის განხილვით ვერ მოხდება საკითხის დამატებით გარკვევა.“

39 (2) მუხლის 1-3 ქვეპუნქტები ძალაში იყო 1958 წელს; მე-4 და მე-5 ქვეპუნქტები ჩაერთაიქნა 1964 წელს, ხოლო მე-6 ქვეპუნქტი - 1982 წელს.

23. ადმინისტრაციული სასამართლოს შესახებ კანონის 41(1) მუხლი განსაზღვრავს:

„ვინაიდან ადმინისტრაციული სასამართლო არ ადგენს მოპასუხის უფლებამოსილების არქონით ან საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით (მუხლი 42 (2)(2) და (3)) გამოწვეულ უკანონობას..., მან უნდა შეამოწმოს სადაო გადაწყვეტილება იმ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, რომელიც დაადგინა მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ და წარდგენილ საჩივრებთან დაკავშირებით ... თუ მან ჩათვალა, რომ საფუძვლები, რომლის შეტყობინება არ მოხდა რომელიმე მხარისთვის, შეიძლება აღმოჩნდეს გადამწყვეტი [რომელიმე საჩივართან დაკავშირებით] მისაღები გადაწყვეტილებისათვის, მან უნდა მოუსმინოს მხარეებს ამ საკითხზე და გადადოს საქმისწარმოება, აუცილებლობის შემთხვევაში.“

24. იმავე კანონის 42(1) მუხლი, ზემოაღნიშნულის დაურღვევლად, განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციულმა სასამართლომ ან უარი უნდა თქვას განაცხადის მიღებაზე, როგორც დაუსაბუთებელზე ან გააუქმოს სადაო გადაწყვეტილება.

42(2) მუხლის მიხედვით,

„ადმინისტრაციულმა სასამართლომ უნდა გააუქმოს სადაო გადაწყვეტილება თუ იგი უკანონოა

1. მისი შინაარსის გამო, (ან)
2. რადგანაც მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნდა უფლებამოსილება, (ან)
3. საპროცესო კანონმდებლობის დარღვევის გამო, რადგანაც

(ა) მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ დაადგინა ფაქტოვრივი გარემოებები, რომელიც, მნიშვნელოვანწილად, ეწინააღმდეგება საქმის დოკუმენტაციას, ან

(ბ) ფაქტებს სჭირდება დამატებითი შესწავლა მნიშვნელოვან საკითხზე, ან

(გ) უგელბელყოფილ იქნა პროცედურული წესები, რომელთა შესრულებაც მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს მიიყვანდა სხვა გადაწყვეტილებამდე.“

25. თუკი ადმინისტრაციული სასამართლო აუქმებს სადაო გადაწყვეტილებას, „ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებულნი [არიან] ... დაუყოვნებლივ გადადგან ნაბიჯები, მათ ხელთ არსებული სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით, რათა ამ კონკრეტულ შემთხვევაში მიაღწიონ ისეთ სამართლებრივ სიტუაციას (legal situation - (კანონით) დასაშვები სიტუაცია), რომელიც შეესაბამება ადმინისტრაციული სასამართლოს მოსაზრებას (Rechtsanschauung)" (section 63(1)).

26. 1987 წლის 14 ოქტომბრის განაჩენში (G 181/86) საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა:

იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ აუცილებელია კონვენციის მე-5 მუხლთან (მ. 5) მიმართებით დათქმის გაფართოება, რათა მან მოიცვას მე-6 მუხლით გათვალისწინებული საპროცესო დაცვის საშუალებები (მ. 6) აღნიშნული ორი მუხლის (მ.5, მ.6) კავშირი შედეგად იწვევს იმას, რომ ადმინისტრაციული სასამართლოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შეზღუდული განხილვა (die (bloß) nachprüfende Kontrolle) არის არასაკმარისი იმ სისხლის სამართლებრივ სასჯელებთან მიმართებით, რომელზეც კონვენციის შინაარსიდან გამომდინარე, არ ვრცელდება დათქმა.

3. დამოუკიდებელი ადმინისტრაციული სასამართლო

27. ფედერალური კონსტიტუციის 129-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული სასამართლოები, რომელსაც ეწოდება „დამოუკიდებელი ადმინისტრაციული სასამართლოები“ (Unabhängige Verwaltungssenate) დაფუძნდა ფედერალურ მხარეში 1991 წლის 1 იანვარს. აღნიშნული სასამართლოების ფუნქციას წარმოადგენს როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი საკითხების განსაზღვრა ადმინისტრაციულ დარღვევებთან დაკავშირებით (Verwaltungsübertretungen).

III. ავსტრიის დათქმები

28. კონვენციის რატიფიკაციის დოკუმენტი, რომლის დეპონირებაც ავსტრიის მთავრობამ მოახდინა 1958 წლის 3 სექტემბერს, შეიცავს, inter alia, დათქმას, რომელიც ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

„კონვენციის მე-5 მუხლის (მ. 5) დებულებების გამოყენება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ არ მოხდეს ჩარევა თავისუფლების ჩამორთმევაში, რაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პროცესის შესახებ კანონებში BGBl [Federal Official Gazette] No. 172/1950, რომელიც არის ადმინისტრაციული სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადახედვის საგანი, როგორც ეს გათვალისწინებულია ავსტრიის ფედერალური კონსტიტუციით.

29. მე-7 პროტოკოლის (პ7) რატიფიკაციის დოკუმენტი, რომლის დეპონირებაც ავსტრიამ მოახდინა 1986 წლის 14 მაისს შეიცავს, *inter alia*, შემდეგ დეკლარაციას:

„მე-3 და მე-4 მუხლები (პ7-3, პ7-4) ექსკლუზიურად ეხება სისხლის სამართლებრივ საქმისწარმოებას ავსტრიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით“.

პროცედურები კომისიის წინაშე

30. ბ-ნმა გრადინგერმა, კონვენციის მე-6 მუხლზე დაყრდნობით, კომისიას მიმართა 1989 წლის 22 მაისს. ის ჩიოდა, რომ ის "non bis in idem" პრინციპის საპირისპიროდ, დამნაშავედ სცნო დამოუკიდებელმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, რომელიც, ასევე არ შეიძლება ჩაითვალოს „დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოდ“ და ისარგებლა საკუთარი ექსპერტების მომსახურებით. საქმის განხილვისას მან ასევე განაცხადა, რომ დაირღვა მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფი (მ. 6-2), რომელიც უზრუნველყოფდა უდანაშაულობის პრეზუმფციას.

31. 1993 წელს 10 მაისს კომისიამ უარყო საჩივარი მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფთან დაკავშირებით (მ.6-2), 6 თვიანი ვადის დაუცველობის გამო (26-ე მუხლი 27-ე მუხლის მე-3 პუნქტთან ერთად უნდა იქნეს წაკითხული (მ. 26+27-3) და დარჩენილ ნაწილში ცნო დასაშვებად.

1994 წლის 19 მაისის ანგარიშში (მუხლი 21) (მ. 21) მან გამოსცა ერთსულოვანი მოსაზრება, რომ სახეზე იყო კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევა (მ. 6-1) (დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება) და მე-7 პროტოკოლის მე-4 მუხლის დარღვევა (პ. 7-4). მან ასევე გამოთქვა მოსაზრება, რომ ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ საქმის განუხილველობის თაობაზე არ წამოჭრილა ცალკე საკითხი მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფთან (მ. 6-1) მიმართებით. კომისიის მოსაზრებისა და მისი თანმხვედრი მოსაზრების სრული ტექსტი, რომელსაც მოიცავდა ანგარიში, დანართის სახით დაერთო განაჩენს.⁴

⁴ რეგისტრატორის შენიშვნა: პრაქტიკული მიზეზებიდან გამომდინარე, ეს დანართი თან ეხლდება მხოლოდ განჩინების დაბეჭდილ ვერსიას (სასამართლოს პუბლიკაციების წიგნი 328-C სერია A), თუმცა კომისიის მოხსენების ასლის მიღება შესაძლებელია რეგისტრატურაში.

მთავრობის მიერ წარდგენილი საბოლოო არგუმენტაცია

32. მთავრობამ თავის ამგარიშში მიმართა სასამართლოს თხოვნით

- „ 1. დაადგინოს, რომ მე-6 მუხლი არ გამოიყენება ამ საქმეში; ან,
2. დაადგინოს, რომ არ ჰქონდა ადგილი მე-6 მუხლის დარღვევას (მ. 6) ადმინისტრაციული სისხლისსამართლებრივ საქმისწარმოებასთან დაკავშირებით, რაც საფუძვლად უდევს წინამდებარე საჩივარს.;
3. საჩივარი იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც წამოჭრილია მე-7 პროტოკოლის მე-4 (პ.7-4) მუხლის საფუძველზე გამოაცხადოს შეუსაბამოდ *ratione temporis* კონვენციასთან 27-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის (მ.27-2) საფუძველზე; ან
4. დაადგინოს, რომ მე-7 პროტოკოლის მე-4 (პ.7-4) მუხლი არ დარღვეულა ადმინისტრაციული სისხლისსამართლებრივი განხილვისას, რაც საფუძვლად უდევს საჩივარს.

სამართალი

I. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის (მ. 6-1) დარღვევა

33. აპლიკანტი აცხადებდა რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი (მ. 6-1), რომელიც ითვალისწინებს:

„ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას... ყველას აქვს მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება ... დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.“

დამატებით, მან ასევე აღნიშნა, რომ მას ჩამოერთვა სასამართლოსადმი მიაღწევისა და ასეთი ორგანოს მიერ საქმის განხილვის უფლება.

ა. მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის (მ. 6-1) გამოყენება

1. იყო თუ არა სახეზე „სისხლისსამართლებრივი ბრალდება“

34. ბ-ნი გრანდირგეის არგუმენტაციის მიხედვით, ადმინისტრაციული სისხლის სამართლებრივი დარღვევა, რომლისთვისაც მას წაუყენეს ბრალი, წარმოადგენდა

„სისხლისამართლებრივ ბრალდებას“. აღნიშნული გარემოება მთავრობას სადავო არ გაუხდია.

35. იმისათვის, რომ განისაზღვროს დარღვევა არის თუ არა „სისხლისამართლებრივი“ კონვენციიდან გამომდინარე, პირველ რიგში, საჭიროა გაირკვეს აღნიშნული დებულება (მ 6-1), რომელიც განმარტავს დარღვევას, მიეკუთვნება თუ არა მოპასუხე სახელმწიფოს საკანონმდებლო სისტემაში სისხლის სამართლის კანონმდებლობას; ამის შემდეგ, გათვალისწინებულ უნდა იქნეს „ამ დარღვევის ხასიათი“ და დაკისრებული სასჯელის სიმძიმის ხარისხი (see, among other authorities, the *Öztürk v. Germany* judgment of 21 February 1984, Series A no. 73, p. 18, para. 50, and the *Demicoli v. Malta* judgment of 27 August 1991, Series A no. 210, pp. 15-17, paras. 31-34).

36. კომისიის მსგავსად, სასამართლო აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დარღვევები და შემდგომი საქმისწარმოება შედიოდა ადმინისტრაციული სამართლის სფეროში, ისინი თავისი ბუნებით არის სისხლის სამართლებრივი. აღნიშნული კიდევ უფრო იკვეთება გამოყენებული ტერმინოლოგიიდან. ამრიგად, ავსტრიის სამართალი ახსენებს ადმინისტრაციულ დარღვევას (*Verwaltungsstraftaten*) და ადმინისტრაციულ სისხლისამართლებრივ პროცესს (*Verwaltungsstrafverfahren*). გარდა ამისა, განმცხადებლისთვის დაკისრებულ ჯარიმას თან ერთვის ბრძანება მისი დაკავების შესახებ, თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში (იხ. ქვემოთ პარაგრაფი 16).

ზემოაღნიშნულის მხედველობაში მიღება საკმარისია, რათა დადგინდეს, რომ დარღვევა, რისთვისაც ბრალი დასდეს განმცხადებელს, დაკვალიფიცირდეს, როგორც „სისხლისამართლებრივი“ კონვენციის მოთხოვნებიდან გამომდინარე. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ გამოყენებულ უნდა იქნეს მე-6 მუხლი.

2. ავსტრიის დათქმა კონვენციის მე-5 მუხლთან (მ. 5) მიმართებით

37. მთავრობის თანახმად, აღნიშნულ პროცედურაზე ვრცელდებოდა ავსტრიის მიერ გაკეთებული დათქმა კონვენციის მე-5 მუხლთან (მ.5) მიმართებით. ეჭვგარეშე უნდა ყოფილიყო, რომ აღნიშნულ დათქმაში „თავისუფლების აღკვეთის ზომების“ ხსენებით, ავსტრიის მთავრობა გულისხმობდა ისეთ პროცედურებს, რომლის შედეგიც იქნებოდა მსგავსი ზომები. [დათქმის] სხვა ნებისმიერი სახით ფორმულირება იქნებოდა არა მხოლოდ შეუსაბამო; ის ასევე

შეწინააღმდეგებოდა ხელისუფლების განზრახვას, რომ კონვენციის მოქმედების სფეროდან მთლიანად გამოერიცხათ ადმინისტრაციული სისტემა, მათ შორის ადმინისტრაციული სისტემის სამართლის მატერიალური და პროცესუალური დებულებები. ასე უნდა მომხდარიყო იმ შემთხვევაშიც კი, ი, როდესაც ბრალდებულს დაეკისრებოდა მხოლოდ ჯარიმის გადახდა და მაშინაც, როცა გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმა ითვალისწინებდა პირის დაკავებას, როგორც ეს ამ საქმეშია.

უნდა ითქვას, რომ 1960 წლის საგზაო მოძრაობის წესების შესახებ აქტი არ იყო იმ ოთხ კანონს შორის, რომელიც მოხსენიებული იყო დათქმაში. თუმცა, ერთ-ერთი ამ კანონთაგან, ადმინისტრაციული სისტემის სამართლის შესახებ კანონის 10-ე მუხლი, განსაზღვრავდა, რომ თუკი სხვაგვარად არის გათვალისწინებული, ზოგადი ადმინისტრაციული კანონები განსაზღვრავდა სანქციის ბუნებასა და სიმძიმეს. ამ საქმეში გასათვალისწინებელი იყო ის, რომ საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის მე-5 მუხლი, რომელიც გამოიყენება მოცემულ შემთხვევაში, მიღებულ იქნა დათქმის დეპონირების შემდეგ, რადგანაც აღნიშნული დებულება მხოლოდ განსაზღვრავდა არსებული ვალდებულების შინაარსს, რაც გათვალისწინებული იყო საგზაო პოლიციის შესახებ 1947 წლის აქტის (the Traffic Police Act) მე-7 მუხლით.

38. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ დათქმა არ მოქმედებს მოცემულ შემთხვევაში. პირველ რიგში, იგი არ აკმაყოფილებს კონვენციის 64-ე მუხლის (მ. 64) მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც:

„1. ამ კონვენციის ხელმოწერის ან რატიფიცირების სიგელის დეპონირებისას, ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გააკეთოს დათქმა კონვენციის რომელიმე კონკრეტული დებულების მიმართ, თუ მის ტერიტორიაზე ამ დროს მოქმედი რომელიმე კანონი არ შეესაბამება ამ დებულებას (მ. 64). ზოგადი ხასიათის დათქმები ამ მუხლით დაუშვებელია (მ.64).

2. ამ მუხლის (მ. 64) საფუძველზე გაკეთებული ნებისმიერი დათქმა უნდა შეიცავდეს შესაბამისი კანონის მოკლედ გადმოცემას.“

და მეორე, ვიწრო განმარტებით, მისი ფორმულირება გამორიცხავს მის განვრცობას პროცედურულ სფეროზე, რაც წარმოადგენდა განსახილველ თემას.

39. სასამართლო აღნიშნავს, რომ 1993 წლის 25 აგვისტოს განაჩენში, საქმეზე - Chorherr v. Austria - სასამართლომ მიუთითა, რომ ავსტრიის დათქმა კონვენციის მე-5 მუხლთან (მ.5) მიმართებით შეესაბამებოდა 64-ე მუხლს (მ. 64) (Series A no. 266-B, p. 35, para. 21). შესაბამისად გასარკვევი რჩება მხოლოდ საკითხი, ვრცელდება თუ არა დათქმა აღნიშნულ დებულებებზე (მ.5, მ.64), რომელიც მოქმედებს ამ შემთხვევაში. ისინი განსხვავდება მნიშვნელოვანწილად იმ დებულებებისგან, რომელიც მოქმედებდა Chorherr-ის საქმეში.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ბ-მა გრადინგერმა თავისი საჩივარი დააფუძნა კონვენციის მე-6 მუხლზე (მ. 6) მაშინ, როდესაც სახელმწიფოს მიერ გაკეთებული დათქმის ფორმულირება, ახსენებს მხოლოდ მე-5 მუხლს (მ.5) და აკეთებს აშკარა მითითებას თავისუფლების ჩამორთმევის ზომებზე. უფრო მეტიც, დათქმა მხოლოდ მაშინ იწყებს ამოქმედებას, როდესაც გამოიყენება ოთხიდან ერთი ან ერთზე მეტი სპეციალური კანონის მატერიალური და პროცესუალური დაბულებები. ამ შემთხვევაში, გამოყენებულ იქნა სხვა კანონის, საგზაო მოძრაობის წესების შესახებ 1960 წლის აქტის, მატერიალური დებულებები.

აღნიშნული გარემოებები საკმარისი საფუძველია იმის დასადგენად, რომ აღნიშნული დათქმა არ მოქმედებს მოცემულ შემთხვევაში.

ბ. მე-6 მუხლის 1-ლ პარაგრაფთან (მ. 6-1) შესაბამისობა

1. სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა

40. ბ-ნი გრადინდერი ამტკიცებდა, რომ არც ერთი ორგანო, რომელმაც განიხილა მისი საქმე, არ შეიძლება ჩაითვალოს „სასამართლოდ“, მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის (მ. 6-1) გაგებით. აღნიშნული არ ეხებოდა: როგორც ადმინისტრაციულ ორგანოებს, ისე საკონსტიტუციო სასამართლოს, რომლის მიერ საქმის განხილვა შემოიფარგლებოდა მხოლოდ კონსტიტუციური საკითხებით და ყველაზე მეტად ადმინისტრაციულ სასამართლოს. ეს უკანასკნელი შებოჭილი იყო ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზე იყო პროცედურული ხარვეზი ადმინისტრაციული სასამართლოს შესახებ კანონის 42(2) მუხლის მე-3 ქვეპარაგრაფის მიხედვით (იხ. ზემოთ პარაგრაფი 24). შესაბამისად, მას არ გააჩნდა უფლებამოსილება, თვითონ მიეღო სამხილები, დაედგინა ფაქტები ან მხედველობაში მიეღო ახალი გარემოებები. უფრო მეტიც, ადმინისტრაციული ზომის გაუქმების შემთხვევაში, იგი არ იყო უფლებამოსილი შეეცვალა საკუთარი გადაწყვეტილება, არამედ საქმე უნდა გადაეცა ამ ადმინისტრაციული ორგანოსთვის. მოკლედ რომ ვთქვათ, მის მიერ საქმის განხილვა შეზღუდული იყო ექსკლუზიურად სამართლებრივი საკითხებით და აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ჩაითვალოს სრული იურისდიქციის მქონე ორგანოს ექვივალენტად.

41. მთავრობა შეეწინააღმდეგა ამ მოსაზრებას, თუმცა კომისიამ გაიზიარა იგი.

42. სასამართლო იმეორებს, რომ გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია ისეთი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რომელიც, თავის მხრივ არ აკმაყოფილებს კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფს (მ. 6-1) - როგორც

არის ამ შემთხვევაში ოლქის ხელისუფლება და რეგიონული მთავრობა (იხ. ზემოთ მე9 და 10-ე პარაგრაფები) - უნდა ექვემდებარებოდეს „სრული იურისდიქციის მქონე სასამართლოს“ შემდგომ კონტროლს (see, inter alia and mutatis mutandis, the following judgments: *Albert and Le Compte v. Belgium* of 10 February 1983, Series A no. 58, p. 16, para. 29; *Öztürk*, previously cited, pp. 21-22, para. 56; and *Fischer v. Austria* of 26 April 1995, Series A no. 312, p. 17, para. 28).

43. საკონსტიტუციო სასამართლო არ წარმოადგენს ასეთ ორგანოს. მოცემულ შემთხვევაში, მას შეეძლო განეხილა სადავო საქმისწარმოება მხოლოდ კონსტიტუციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით, რაც არ იძლეოდა შესაძლებლობას გამოეკვლია ყველა რელევანტური ფაქტობრივი გარემოება. მას, შესაბამისად, არ გააჩნდა ისეთი უფლებამოსილება, რაც მოთხოვნილია მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფით (მ. 6-1).

44. ადმინისტრაციული სასამართლოს უფლებამოსილება უნდა შეფასდეს იმ ფაქტების გათვალისწინებით, რომ სასამართლო მოცემულ შემთხვევაში განიხილავდა საქმეს, რომელიც თავის ბუნებით იყო სისხლისსამართლებრივი, კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე. აღნიშნული შედეგად იწვევს იმას, რომ როდესაც ხდება მათი უფლებამოსილების შესაბამისობის შემოწმება მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფთან მიმართებით, ყურადღება უნდა მიექცეს სარჩელს, რომელიც წარდგენილია ამ სასამართლოში განმცხადებლის მიერ ისევე, როგორც განმსაზღვრელ თავისებურებებს ტერმინისა - „სასამართლო, რომელსაც აქვს სრული იურისდიქცია“. აღნიშნული მოიცავს ქვედა ორგანოს მიერ როგორც სამართლებრივ, ისე ფაქტებთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილების გაბათილების უფლებამოსილებას. ვინაიდან, ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია აღნიშნული უფლებამოსილება, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს „სასამართლოდ“ კონვენციის გაგებით. უფრო მეტიც, 1987 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სისხლისსამართლებრივ სასაჯელებთან მიმართებით, რომელზეც არ ვრცელდება მე-5 მუხლზე (მ.5) გაკეთებული დასკვნა, საქმის შეზღუდული განხილვა ადმინისტრაციული სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იყო არასაკმარისი. (იხ. ზემოთ პარაგრაფი 36).

45. აღნიშნულის შედეგად, განმცხადებლისთვის არ იყო „სასამართლო“ ხელმისაწვდომი. ამ თვალსაზრისით, ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის (მ.6-1) დარღვევას

2. საქმის განუხილველობა და მოწმეების მტკიცებულებების მიუღებლობა

46. ბ-მა გრადინგერმა გააკრიტიკა, ასევე ადმინისტრაციული ორგანო საქმის განუხილველობისა და მოწმეებისგან მტკიცებულებების მიუღებლობის გამო.

47. 45-ე პარაგრაფში გაკეთებული დასკვნის გათვალისწინებით, სასამართლო არ თვლის საჭიროდ, გამოიკვლიოს ეს საჩივრები.

II. მე-7 პროტოკოლის მე-4 მუხლის (პ.7- 4) შესაძლო დარღვევები.

48. განმცხადებელმა დაამატა ასევე, რომ საგზაო მოძრაობის წესების შესახებ კანონის მე-5 მუხლის საფუძველზე მისი დაჯარიმებით, ოლქის ხელისუფლებამ და რეგიონულმა მთავრობამ დასაჯა იგი იმ ფაქტების გამო, რომელიც იყო იდენტური იმ გარემოებებისა, რომლის საფუძველზეც რეგიონულმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მას არ უნდა ეგო პასუხი სისხლის სამართლის კოდექსის 81-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის საფუძველზე. ვინაიდან, ორივე დებულება კრძალავდა ტრანსპორტის მართვას ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ, როდესაც სისხლში ალკოჰოლის დონე არის 0.8 გრამი ან მეტი ლიტრზე, სახეზეა მე-7 პროტოკოლის მე-4 მუხლის (პ.7- 4) დარღვევა, რომელიც განსაზღვრავს:

„1. დაუშვებელია სისხლის სამართლის წესით პირის ხელმოწერა ან დასჯა ერთი და იმავე სახელმწიფოს ფარგლებში იმ დანაშაულისთვის, რომლისთვისაც ის ერთხელ უკვე საბოლოოდ იქნა გასამართლებული ან მსჯავრდებული ამ სახელმწიფოს კანონმდებლობისა და სისხლის სამართლის პროცესის შესაბამისად.

2. წინა პუნქტის დებულებები (პ7-4) ხელს არ უშლის საქმის წარმოების განახლებას მოცემული სახელმწიფოს კანონმდებლობისა და სისხლის სამართლის პროცესის შესაბამისად, თუკი არსებობს ახალი ან ახლად გამოვლენილი ფაქტების მტკიცებულება, ან, თუ წინა სამართალწარმოება განხორციელდა არსებითი ხარვეზით.

3. დაუშვებელია კონვენციის მე-15 მუხლის საფუძველზე ამ მუხლიდან (პ7-4) გადახვევა.“

ა. დათქმა მე-4 მუხლთან მიმართებით (პ. 7-4)

49. მთავრობა ამტკიცებდა, რომ აღნიშნული დებულება (პ. 7-4) რომელსაც ეფუძნებოდა განმცხადებელი, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან, ავსტრიის დეკლარაციით მისი მოქმედების სფერო შეზღუდულია ექსკლუზიურად „ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი საქმისწარმოებებით“, რაც, შესაბამისად, გამორიცხავს ადმინისტრაციულ ან დისციპლინარულ საქმისწარმოებას.

50. კომისიის მსგავსად, სასამართლო მიიჩნევს, რომ „დეკლარაცია“ უნდა მიჩნეულ იქნეს დათქმად კონვენციის 64-ე მუხლის (მ.64) გაგებით (იხ. *mutatis mutandis*, the *Belilos v. Switzerland* judgment of 29 April 1988, Series A no. 132, p. 24, para. 49). მთავრობას აღნიშნული სადაოდ არ გაუხდია.

ამიტომაც, აუცილებელია განისაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა დეკლარაცია ამ დებულების მოთხოვნებს (მ. 64).

51. სასამართლომ დასაწყისში აღნიშნა, რომ არ არსებობს კანონის ე.წ. „მოკლე ჩანაწერი“ რომელზეც ითქმის, რომ არ შეესაბამება მე-7 პროტოკოლის მე-3 და მე-4 მუხლებს (პ.7-3, პ.7-4). დანამდვილებით, ეს დასკვნა შეიძლება გაკეთდეს „დეკლარაციის“ ფორმულირებიდან, რომ ავსტრია გეგმავდა, ყველა საქმისწარმოება, რომელიც ავსტრიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით არ იყო სისხლის სამართლებრივი, გამოერიცხა მე-3 და მე-4 (პ.7-3, პ.7-4) მუხლის მოქმედების სფეროდან. მთავრობამ მართებულია მიაპყრო ყურადღება აღნიშნულს. მიუხედავად ამისა, მისი ბუნებიდან გამომდინარე, რომელიც არ არის ამომწურავი, „დეკლარაცია არ იძლევა სათანადო ხარისხით... გარანტიას... რომ [იგი] შედის იმ დებულებებში, რომელიც აშკარად გამორიცხულია ავსტრიის მიერ (see, as the most recent authority, the *Chorherr* judgment previously cited, p. 34, para. 20) შესაბამისად, დეკლარაცია არ აკმაყოფილებს 64- მუხლის მე-2 პარაგრაფის (მ. 64-2) მოთხოვნებს.

აღნიშნული დასკვნა არის საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ „დეკლარაცია“ მიჩნეულ იქნეს ძალადაკარგულად, იმის გარკვევის საჭიროების გარეშე, იყო თუ არა დაცული 64-ე მუხლის (მ.64) სხვა მოთხოვნები.

ბ. მე-4 მუხლის (პ.7-4) *ratione temporis* გამოყენება

52. მთავრობა დამატებით ამტკიცებდა, რომ მე-7 პროტოკოლის მე-4 მუხლი არ იყო გამოყენებადი *ratione temporis*. ადმინისტრაციული სისხლის სამართლის შესახებ კანონის 1(2) მუხლის მიხედვით, დაწესებული სასჯელი დამოკიდებული იყო კანონზე, რომელიც მოქმედებდა დარღვევის ჩადენის მომენტში, ან როდესაც თავდაპირველი გადაწყვეტილება გამოიცა, თუკი ეს უკანსკნელი უფრო ხელსაყრელი იყო ბრალდებულისთვის. მოცემულ შემთხვევაში, თარიღები იყო, შესაბამისად: 1987 წლის 1 იანვარი და 16 ივლისი მაშინ, როდესაც მე-7 პროტოკოლი 1988 წლის 1 ნოემბრამდე არ შესულა ძალაში. იმ ფაქტს, რომ ადმინისტრაციულმა სასამართლომ განაჩენი გამოიტანა ამის შემდეგ, 1989 წლის 29 მარტს, მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგანაც **ზედმიწევნით** იყო მოთხოვნილი,

რომ გადაწყვეტილება გამოეტანა იმ კანონის საფუძველზე, რომელიც მოქმედებდა დარღვევის ჩადენის მომენტში, ან როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ იქნა გადაწყვეტილება მიღებული.

53. კომისიის მსგავსად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მე-7 პროტოკოლის მე-4 მუხლის (37-4) არის სისხლის სამართლებრივი საქმისწარმოების გამეორება, რომელიც დასრულებულ იქნა საბოლოო გადაწყვეტილებით. ამრიგად, აღნიშნული დებულება (37-4) არ გამოიყენება ახალი საქმისწარმოების დაწყებამდე. მოცემულ შემთხვევაში, იმის გამო, რომ ახალი საქმისწარმოება დასრულდა გადაწყვეტილების გამოტანით მე-7 პროტოკოლის (37) ძალაში შესვლამდე, კერძოდ, ადმინისტრაციული სასამართლოს 1989 წლის 29 მარტის განაჩენით, მისი გამოყენების პირობები *ratione temporis* დაკმაყოფილებულია.

გ. მე-4 მუხლთან შესაბამისობა (37-4)

54. ბ-ნი გრადინგერის არგუმენტების საპასუხოდ (იხ. ქვემოთ პარაგრაფი 48), რომელიც კომისიამ გაიზიარა არსებითად, მთავრობამ დაადასტურა, რომ მე-7 პროტოკოლის მე-4 მუხლი (37-4) არ გამორიცხავდა ორივე დებულების ერთდროულად გამოყენებას თანმიმდევრობით. უკანასკნელი იყო განსხვავებული თავისი ბუნებით და სხვა მიზნისკენ იყო მიმართული: მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსის 81-ე მუხლის მე-2 პარაგრაფი ითვალისწინებდა სასჯელს ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ადამიანის მკვლელობისთვის, საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის მე-5 მუხლით ისჯებოდა მხოლოდ მთვრალ მდგომარეობაში ავტომობილის მართვის ფაქტი. წინა მიმართული იყო იმისკენ, რომ დაესაჯა ქმედება, რომელმაც გამოიწვია სიკვდილი და საფრთხე შეუქმნა საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, მეორე კი იმისკენ, რომ უზრუნველყო მშვიდი საგზაო მოძრაობა.

55. სასამართლო აღნიშნავს, რომ სანკტ-პოლტენის რეგიონული სასამართლოს (St Pölten Regional Court) მიხედვით, დამამძიმებელი გარემოება, რომელსაც ეხება სისხლის სამართლის კოდექსის 81-ე მუხლის მე-2 პარაგრაფი, კერძოდ, როდესაც სისხლში ალკოჰოლის დონე არის 0.8 გრამი ან უფრო მეტი ლიტრზე, არ დადგინდა განმცხადებლის შემთხვევაში. მეორეს მხრივ, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა დაადგინეს, იმისათვის, რომ განმცხადებლის შემთხვევაზე გავრცელებულიყო საგზაო მოძრაობის წესების შესახებ კანონის მე-5 მუხლი, ალკოჰოლის დონე მიღწეული იყო. სასამართლოსთვის სრულიად ნათელია, რომ აღნიშნული დებულებები განსხვავდება ერთმანეთისგან არა მარტო მითითებული დარღვევით, არამედ, უფრო მნიშვნელოვანი, მათი ბუნებისა და მიზნის

თავლსაზრისით. სასამართლო დაამტებით შენიშნავს, რომ საგზაო მოძრაობის წესების შესახებ კანონის მე-5 მუხლში მითითებული დარღვევა წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 81-ე მუხლის მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებული დარღვევის მხოლოდ ერთ ასპექტს. თუმცა, ორივე გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეფუძნებოდა ერთსა და იმავე ქმედებას. შესაბამისად, დაირღვა მე-7 პროტოკოლის მე-4 მუხლი (პ7.-4).

III. კონვენციის 50-ე მუხლის (მ. 5) გამოყენება

56. კონვენციის 50-ე მუხლის (მ.50) მიხედვით,

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ მაღალი ხელშემკვრელი მხარის სამართლებრივი ან სხვა ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ან გატარებული ზომა ნაწილობრივ ან სრულად ეწინააღმდეგება ვალდებულებებს, რომელიც გამომდინარეობს... კონვენციიდან და თუ აღნიშნული მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი მიღებული გადაწყვეტილების ან ზომის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

57. ბ-ნმა გრადინგერმა მოითხოვა თანხა 293,130 ავსტრიული შილინგის ოდენობით ეროვნულ სასამართლოში და საქმისწარმოებისთვის გაწეული ხარჯები.

58. მთავრობამ გამოთქვა მოსაზრება, რომ მხოლოდ ადმინისტრაციული სასამართლოს საქმისწარმოება - რომელმაც გამოიწვია შესაძლო დარღვევები - და სტრასბურგის სასამართლო უნდა მიღებულიყო მხედველობაში. მათ ასევე სადავო გახადეს თანხის ოდენობა, მაგრამ ისინი მზად იყვნენ აენაზრაურებინათ 100,000 ATS.

59. კომისიის დელეგატმა ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა დატოვა სასამართლოს დისკრეციაში.

60. სამართლიანობის საფუძველზე, მის ხელთ არსებული ინფორმაციისა და სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, სასამართლო აკუთვნებს ბ-ნ გრადინგერს 150,000 ავსტრიულ შილინგს.

აღნიშნულის საფუძველზე, სასამართლო ერთსულოვნად

1. ადგენს, რომ კონვენციის მე-6 მუხლი (მ.6-1) გამოიყენება მოცემულ შემთხვევაში;

2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის (მ. 6-1) დარღვევას სასამართლოს ხელმისაწვდომობასთან მიმართებით;
3. ადგენს, რომ არ არის აუცილებელი შემოწმდეს საჩივრი, რომელიც ემყარება ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ საქმის განუხილველობას და მოწმეებისგან მტკიცებულებების მიუღებლობას;
4. ადგენს, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენება მე-7 პროტოკოლის მე-4 მუხლი;
5. ადგენს, რომ დაირღვა აღნიშნული მუხლი (პ7-4);
6. ადგენს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ სამი თვის ვადაში უნდა გადაუხადოს განმცხადებელს თანხა 150,00 (ას ორმოცდაათი ათას ხუთასი) ავსტრიული შილინგი, სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით;
7. უარს ამბობს საჩივრის დარჩენილ ნაწილზე სამართლიანი დაკმაყოფილების კუთხით .

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენაზე და გამოცხადებულია საჯარო მოსმენაზე ასტრასბურგში, ადამინის უფლებათა შენობაში, 1995 წლის 23 ოქტომბერს.

როვლ რისდალი
თავმჯდომარე

ჰერბერტ პეტხოლდი

რეგისტრატორი

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სასამართლოს რეგლამენტის 53-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, განაჩენს თან ერთვის ბ-ნი მარტენსის განცალკევებული აზრი.

რ.რ.

ჰ.რ.

მოსამართლე მარტენსის განცალკევებული მოსაზრება

1. მე ვეთანხმები სასამართლოს, რომ მე-6 მუხლი (მ. 6) დაირღვა, მაგრამ არ შემიძლია დავეთანხმო მის დასაბუთებას.

2. ჩემი პროტესტი ეხება განაჩენის 44-ე მუხლს, რომელიც იწყება წინადადებით:

„ადმინისტრაციული სასამართლოს უფლებამოსილება უნდა შეფასდეს იმ ფაქტების გათვალისწინებით, რომ სასამართლო მოცემულ შემთხვევაში განიხილავდა საქმეს, რომელიც თავის ბუნებით იყო სისხლისსამართლებრივი, კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე.“

3. მე თავს შევიკავებ ამ პარაგრაფის ფორმულირების კრიტიკისგან. თუმცა არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ სასამართლო აუცილებლად მიიჩნევს შენიშვნოს, რომ როდესაც ფასდება, უნდა მივიჩნიოთ თუ არა სასამართლოდ ადმინისტრაციული სასამართლო, რომელსაც გააჩნია მე-6 მუხლის პირველი ნაწილით (მ. 6-1) გათვალისწინებული დაცვის საშუალებები (მ. 6-1), „ყურადღება უნდა მიექცეს სასამართლოს წინაშე შეტანილ საჩივრებს“. თუმცა, ფუჭია, მოიძიო მტკიცებულება ამ მეთოდოლოგიური პრინციპისა, რომელიც პრაქტიკაში გამოიყენება: განმცხადებლის მტკიცებულებებიდან, რომლითაც ის დაობდა ადმინისტრაციულ სასამართლოში არ გამომდინარეობს რაიმე ანალიზი და არც რაიმე კვალი არსებობს ამ არგუმენტებთან „დაკავშირებით“ ადმინისტრაციული სასამართლოს იურისდიქციის შეფასებისას. დანარჩენთან დაკავშირებით, მე მივუთითებ ამ „ტექსტის“ მეთოდოლოგიურ წინააღმდეგობებზე, რაზეც მე ვილაპარაკე ჩემს განცალკევებულ მოსაზრებაში საქმეზე Fischer v. Austria (judgment of 26 April 1995, Series A no. 312).

4. ჩემი მთავარი პროტესტი ამ პარაგრაფთან მიმართებით არის შემდეგი. სამ სამოქალაქო საქმეში, რომელიც განხილულია ზემოაღნიშნულ ჩემს განსხვავებულ მოსაზრებაში, სასამართლომ დაადგინა, რომ ავსტრიის ადმინისტრაციული სასამართლო აკმაყოფილებდა სასამართლოს მოთხოვნებს მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის გაგებით. თუმცა, განსახილველ პარაგრაფში იგი მიდის საპირისპირო დასკვნამდე, ხაზს უსვამს რა, რომ ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული სასამართლო ატარებდა საქმისწარმოებას, რომელიც იყო სისხლისსამართლის, თავისი ბუნებით. შეუძლებელია არ დავასკვნათ, რომ სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე, რომელიც ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით არის „ადმინისტრაციული“, კონვენციის მიხედვით არის „სისხლის სამართლის“ საქმე. სასამართლოს დაცვის მექანიზმები, როგორიცაა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების გადახედვა, განსხვავდება იმისგან,

რაც ამ საქმეშია მოთხოვნილი, რომელიც ეროვნული კანონდებლობის საფუძველზე არის „ადმინისტრაციული“, ხოლო კონვენციის საფუძველზე – „სამოქალაქო“. ვერ ვხედავ ასეთი დიფერენციაციის ვერავითარ გამართლებას, რომელიც არ უჭერს მხარს მე-6 მუხლის ფორმულირებას ან მიზნებს (მ. 6).⁵ არც სასამართლო გვთავაზობს რაიმეს, მისი გადაწყვეტილება ამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხზე არ არის დასაბუთებული რაიმე არგუმენტით. ეს უფრო მეტად სამწუხაროა, რადგან აღნიშნული დიფერენცია ეწინააღმდეგება სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.⁶

⁵ I refer in this context to footnote 62 of my aforementioned separate opinion in the case of Fischer v. Austria.

⁶ See, inter alia, the Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium judgment of 23 June 1981, Series A no. 43, pp. 23-24, para. 53; the Albert and Le Compte v. Belgium judgment of 10 February 1983, Series A no. 58, p. 17, para. 30; see also the Diennet v. France judgment of 26 September 1995, Series A no. 325-A, pp. 13-14, para. 28.